საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/60

ქ. ბათუმი 01 მაისი, 2019 წ.

,,2018 -2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-08/185 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,2018 -2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-08/185 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ბ) II ეტაპზე – 2019 წლის 08 აპრილიდან 16 მაისის ჩათვლით გადახდილი უნდა იქნეს არანაკლებ სემესტრული სწავლის საფასურის 30%;''

2. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**